საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შე

ხუთშაბათი, 18 მარტი. 1920 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთობა

ფასი 3 მანეთი

ფასი: 1 თვით 75 მანეთი, ცალკე ნომრის 2 მანეთი. განცხადების ფასი პირველ გვერდზე სტრიქონი 5 მანეთი. მეოთხე გვერდზე 4 მან. ხანგრძლივობითი განცხადების ზომა 15×2 სტრიქონი ზედიზ. 100 მანეთი. ხელნაწერი განცხადებები არ დაიბეჭდება. რედაქცია და კანტორის ადრესი: კრუზენშტერნის ქ. 4, შესასვლელი რუსთაველის ქუჩიდან 3-18-თან. ტელეფონი 16—62

№ 63 ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა № 63

ღრმა მწუხარებაში მყოფი ნიკოლოზ გიორგის ძე ჩიმაკაძე აუწყებს ნათესავებს, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ხუთშაბათს, 18 მარტს გადახდილი იქნება ორმოცი დღის თავზე წირვა და პანაშვიდი ძვირფასი მეუღლის

იულია დავითის ასულის ჩიმაკაძის

სულის მოსახსენებლად იოანე ღვთის მეტყველის ეკლესიაში (ვერაზე) წირვა დაიწყება დილის 10 საათზე. (991 2—2)

ღრმად დამწუხრებული ჩოხატაურის რაიონული სახალხო გვარდიის შტაბი აუწყებს ნაცნობებს და ამხანაგებს გვარდიელის

სანდრო მალაქიას ძე ბერძენიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას. დასაფლავება მოხდა სამშაბათს, 16 მარტს, შუადღის 2 საათზე სოფ. ფარცხმის ეკლესიის გალავანში (გურ. ა). (1008—1—1)

გულმოკლულნი: ილარიონ ბერძენიშვილის ასული, ივანე, ეპიფანე, მარო, ვერიკო და პოლინე ცინცაძისა აუწყებენ ნაცნობ ნათესავებს პირველი საყვარელი შვილისა, დანარჩენები დაუვიწყარ ძმისა გვარდიელის

სანდრო მალაქიას ძე ბერძენიშვილის

ტრაგიკულად გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდა სამშაბათს 16 მარტს სოფელ ფარცხმის ეკლესიის გალავანში (ჩოხატაური) გურია. (1009—1—1)

ხოფერი ელიაშვილ-სიკანაძისა ღრმა მწუხარებით აუწყებს ნათესავებს, ნაცნობებს და მეგობრებს საყვარელი მეუღლის

გოგლო ქარცივაძის

გარდაცვალებას. (ფ. 1—1)

გურიის სამაზრო ერობის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას თავის თანამშრომლის სტატისტიკოსის

გერმანე ვლადიმერის ძე ცოცორიავას

უდროოდ გარდაცვალებას. (ფ 1—1)

გურიის სამაზრო ერობის თანამშრომელთა კავშირის გამგეობა ღრმა მწუხარებით აუწყებს საზოგადოებას კავშირის წევრის ერობის ნიჭიერ მუყაით თანამშრომლის სტატისტიკოსის

გერმანე ვლადიმერის ძის ცოცორიავას

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვის დღე იქნება გამოცხადებული დამატებით. (ფ. 1—1).

აპრილის პირველ რიცხვებში გამოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ერთი ჯგუფის ყოველთვიური სამეცნიერო, სალიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი

„მომავალი“

სარედაქციო კოლეგია მოუწოდებს სტუდენტობას მოაწოდონ შესაფერი მასალები. მასალების გამოგზავნა შეიძლება დროებით კანტორა „განათლება“-ში. თფილისი, ოლღას ქ. № 6. (3—1)

ექიმი ნ. ი. ოქრობჟარიძე

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს საღამოს 4—6 საათამდის. [illegible] ქუჩა № 22, სოლოლაკი. (ნ.—ო.).

ბათუმის ბედი

დილის ჟურნალ-გაზეთებით და იმავე გაცრუებით შეხვდება საქართველოს დემოკრატია და მასთან ერთად ბათუმ-აჭარის მცხოვრებნი იმ ცნობებს, რომელიც ევროპიდან მოვიდა ბათუმის საკითხის გადაწყვეტის შესახებ. გუშინდელ გაზეთებში გამოქვეყნებულ დეპეშებიდან სჩანს, რომ სახელმწიფოთა უმაღლეს საბჭოს უკვე 24 თებერვალს გადაუწყვეტია „გამოაცხადოს ბათუმის პორტი თავისუფალ პორტად, ქალაქი და მის გარშემო პატარა ზონა შეადგენენ ხალხთა ლიგის მფარველობის ქვეშ მყოფ პატარა სახელმწიფოს, და მას დაიკავებენ საერთაშორისო რაზმის—ინგლისის, საფრანგეთის და იტალიის სამი ბატალიონისაგან შემდგარი“.

საკითხის ასეთი გადაწყვეტა ჩვენ მიგვაჩნია ფეხქვეშ გათელვად იმ პრინციპებისა, რომლებიც შეიმუშავა უმაღლესმა საბჭომ თავის მუშაობის დასაწყისში და რომლითაც მას უნდა ეხელმძღვანელა ქვეყნის საქმეების მოგვარებაში.

მართლაც და რა მოსაზრებით შეიძლება გამართლდეს ბათუმის საკითხის ასე გადაწყვეტა? ვისი ინტერესების მიხედვით შეიძლებოდა ამ საკითხისათვის ასეთი მიმართულების მიცემა? ლიდ-აზრი პრინციპებისა, რომელიც საფუძვლად უნდა სდებოდა უმაღლეს საბჭოს მუშაობას, გულისხმობს, რომ იმნაირ საკითხებში, როგორიც ბათუმ-აჭარისაა, მთავარი ყურადღება თვით დაინტერესებულ მცხოვრებთა სურვილს უნდა მიექცეს. ბათუმ-აჭარის მცხოვრებთ უკვე არა ერთხელ გამოსთქვეს თავისი სურვილი, გამოსთქვეს მთელი ქვეყნის გასაგონად. მათი ხმა ისე მკაფიო და მეტყველი იყო, რომ ვერავინ მის შესახებ დავას ვერ გაბედავდა. მიუხედავათ აჭარებელ ფულისა, რომელიც ოსმალეთის აგენტებმა დაბნიეს ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა თავის მხარეზე გადასაბირებლად, მიუხედავათ იმ შეშინებისა და სარწმუნოებრივ დემაგოგიისა, რომელსაც ისინი იქ აწარმოებდენ, მიუხედავათ იმ დაბრკოლებისა, რომელიც ხვდებოდა საქართველოს მომხრეთა პარტიის მოქმედებას ინგლისის მხედრობის წარმომადგენლობის მხრით, 7 თვის განმავლობაში ბათუმ-აჭარის მცხოვრებლებმა სამჯერ ამცნეს ქვეყანას, რომ ისინი ქართველ ერის ნაწილად სთვლიან თავის თავს და მათი სურვილია მშობელ ერის წიაღში დაბრუნება. უბრალო სამართლიანობა მოითხოვდა, რომ ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა ეს ხმა უმაღლეს საბჭოს შეესმინა და ამ ხალხის სურვილის წინააღმდეგ არ გადაეწყვიტათ მისი მიწა-წყლის და პოლიტიკური არსებობის საკითხი. თვითგამორკვევა ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა უკვე მოხდა: მათ საქართველოსთან გაერთიანება ასურვეს,—მაგრამ უმაღლესმა საბჭომ არ სცნო მათი უფლება თვითგამორკვევისა და მათ თავს ახვევს იმას, რაც მათ არ უნდათ, რაც მათ ინტერესებს ეწინააღმდეგება. ბათუმის საკითხის ამნაირი გადაჭრა წარმოადგენს ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა მიმართ აშკარა ძალმომრეობას. ის გადაწყვეტილება, რომელიც უმაღლეს საბჭოს გამოუტანია, არ არის საბოლოო. საქართველოს წარმომადგენელი კონსტანტინოპოლიდან იტყობინება, რომ „საბოლოო დასკვნა ბათუმის საკითხის შესახებ მოხდება რუსეთის საკითხის გადაწყვეტასთან ერთად“. ჩვენ მაინც იმედს არ ვკარგავთ, რომ ეს „საბოლოო დასკვნა“ მოხდება იმ პრინციპების მიხედვით, რომელიც დავიწყებული უმაღლეს საბჭოს დღევანდელ გადაწყვეტილებაში, რომ უმაღლესი საბჭო ბათუმის საკითხის საბოლოო გადაჭრის დროს დაადგება ბათუმ-აჭარის მცხოვრებთა თვითგამორკვევის უფლების გზას, რომელსაც ძირითადად ეწინააღმდეგება მისი დღევანდელი გადაწყვეტილება.

პარიზის კომუნისკენ

დღეს პარიზის კომუნის დღეა. 49 წელიწადი გავიდა მას აქეთ 1871 წელს პარიზის მუშები ადგნენ რევოლუციონურად, გამოვიდნენ ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ახალი გათავებული იყო საფრანგეთ-გერმანიის ომი. ომი გათავდა მაშინ საფრანგეთის საშინელი დამარცხებით. დამარცხებამ გამოიწვია რევოლუცია. შემდეგ რესპუბლიკანური დროებითი მთავრობა. ამ მთავრობას მიენდო ხალხმა უკანასკნელი თავგანწირული ბრძოლა პარიზის დასაცველად. პარიზის კარებში შესასვლელად მოსული იყო გერმანელი ჯარი. მთავრობას უნდა ეჩვენებინა, რომ პარიზი უსისხლოდ არ დანებდებოდა. მუშათა კლასი ფეხზე იდგა, არ ფიქრობდა უკან დახევას და სამარცხვინოდ მტრის ხელში ჩაგდებას. მაგრამ ბურჟუაზიულ მთავრობას ეშინოდა შეიარაღებული მუშათა კლასის. გარეგნულად თავდამცველი იყო, გულში მალავდა ღალატს. ფიქრობდა გერმანიასთან ზავის შეკვრას და მუშების „დაწყნარებას“.

როცა იგრძნეს მთავრობის განძრახვა, მუშებმა გამოიჩინეს მეტი ენერგია. უნდოდათ გავლენა მოეხდინათ მაღალ წრეებზე და გადაერჩინათ პარიზი. მთავრობამ „ფარი დაჰკრა ქარს“ და მაშინ მოაწერა ხელი სამარცხვინო ზავის პირობებს. აღელვებული ხალხი ამას ვერ მოითმენდა, მთავრობის წინააღმდეგ იარაღს იხმარდა. მაგრამ მთავრობამ „მოასწრო“ და მოინდომა იარაღის ჩამორთმევა. ეს იყო თავდასხმა. ხალხმა შეუტია. ეროვნულ გვარდიის საშუალებით მოხდა 18 მარტის აჯანყება. ეს გადაიქცა დიდ რევოლუციად. ამ რევოლუციას ხელმძღვანელობდა 20 ოლქის წარმომადგენელი ცენტრალური კომიტეტი. ხალხმა გაიმარჯვა ამ დღეს. მთავრობა თავის რეაქციონური ჯარით პარიზიდან გაიქცა ჯერ ბორდოში, იქიდან ვერსალში გადასახლდა. იქვე გადაბინავდა საერთო ყრილობა (національное собраніе) ვერსალი გადაიქცა რეაქციის საბუდრად, პარიზი დარჩა რევოლუციის ხელში. ცენტრალური კომიტეტი დადგა მაშინვე მარტო თავდაცვით გზაზე. არ ფიქრობდა საზღვრებზე გადასვლას და ვერსალისკენ ჯარების წაყვანას. მისი განკარგულების მიხედვით რევოლუციონური ჯარი უნდა გამკლავებოდა მხოლოდ ვერსალიდან აქეთ წამოსულ რეაქციას.

მუშათა ლაშქრის მეთაურობით პარიზში მაშინ ერთი აზროვნებით, ერთსულოვნებით იყო გამსჭვალული. ცენტრალურ კომიტეტს ეშინოდა თვითნებობის. არ თვლიდა თავის თავს მთელი ხალხის ნებით არჩეულად. დაადგინა ამიტომ საყოველთაო კენჭის ყრით ახალი დაწესებულების შექმნა. არჩევნებში მონაწილეობა მიიღო უმეტესობამ. ასე არჩეულ საბჭოს დაარქვეს პარიზის კომუნა.

მტრულ ბანაკებათ დაუპირდაპირდნენ ერთიმეორეს პარიზი და ვერსალი. იქიდან ჩაუკეტეს პარიზს კარები. პროვინცია მოგლიჯეს დიდ ქალაქს. აქედან აღარ შეიძლებოდა იქ დეპეშების, წერილების გზავნა. შეწყდა საფოსტო მიმოსვლა. ეს საბლოკადო იარაღი ხელში ჩაიგდო მარტო ვერსალმა. რეაქციის ლიდერი ბოძი ტიერი აგზავნიდა თავის დეპეშებს და მოწოდებებს. ავრცელებდა ზღაპრულ ცილისწამებას პროვინციაში კომუნის შესახებ. პროვინციას თავის თავათ რეაქციონური მაჯის ცემა ჰქონდა. წინათაც ვერსალს უჭერდა მხარს. ახლა უარესად გადაემტერა პარიზის კომუნას.

კომუნა კი მთელ ამ დიდ ქალაქში დიდი ნდობით იყო აღჭურვილი. სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაციები, წრეები აცხადებდნენ თავის მიმხრობას და სცნობდნენ მის ხელმძღვანელობას. კომუნის მხედველობაში ჰქონდა მარტო ვერსალის რეაქციასთან ბრძოლა. ამ რეაქციის წინააღმდეგ შემოიკრიბა გარშემო მთელი პარიზი.

იყვნენ იმ დროს დღევანდელი ბოლშევიკები. ბლანკი და მისი მიმდევრები ფიქრობდნენ, დროა საერთაშორისო სოციალური რევოლუციისა. ცდილობდნენ კიდევ მოეხდინათ ასეთი რევოლუცია. მაგრამ კომუნა არ ფიქრობდა ასე. არ შეუდგა ამ გამოურკვეველ გზაზე. კომუნაში იყვნენ პირველი ინტერნაციონალის წევრები. ამათ აზრით ჰქონდათ პარიზის მოძრაობა გამოეყენებინათ, როგორც პოლიტიკური და ორგანიზაციული საშუალება.

კომუნას მაინც მოუხდა დიდმნიშვნელოვანი საქმის კეთებაც. ეს იყო ამ დიდი ქალაქის პატრონი. უნდა შეემუშავებინა საზოგადოებრივი რეფორმები, უნდა გაეტარებინა ცვლილებები. შეუდგა კიდეც ამ აუცილებელ საქმეს, დაიწყო კანონმდებლობა, მაგრამ არც ერთი მისი დეკრეტი არ გადადიოდა ბოლშევიკებისას. ის არ ამბობდა ახლავე სოციალიზმი ყველგანო, არ ეძახოდა მუშებს, გამოდით, ბურჟუებს ყელში ეცით და ძირს თავები დააყარე-ნეთო. ის ახდენდა უფრო პოლიტიკურ ცვლილებებს, არ შეუქმნია ისეთი მდგომარეობა, რომ პარიზის ხალხი ჩამოშორებოდა.

თითონ კომუნაში იყო დავა. მარჯვენა ფრთა უმეტესობა იყო და მარცხენა—უმცირესობას. ერთ ხანს უთანხმოება გამწვავდა, მემარცხენეებს გამოსვლაც უნდოდათ, მაგრამ თქვეს, რომ ეს რეაქციას შეუწყობს ხელსო, დაემორჩილნენ უმრავლესობას.

ინტერნაციონალი ერთ თავის არაჩვეულებრივ კრებაზე შეეხო ამ საკითხს, რადგან მისი წევრები იყვნენ კომუნის მემარცხენე ფრთაში. თათბირის შემდეგ გამოიტანეს დადგენილება:—„მოვისმინეთ ინტერნაციონალის წევრების მოხსენება, და ვთვლით, რომ მოქმედობით დაიცვეს მუშათა ინტერესები, ვცადოთ იმავე დროს ყოველივე ღონისძიებით კომუნის ერთიანობა არ დაირღვეს. ერთიანობა ახლა აუცილებელია ვერსალის მთავრობასთან ბრძოლაში“.

რა თქმა უნდა, პარიზი დიდხანს ვერ გაუძლებდა ვერსალს. ცხადი იყო, რომ კომუნას უნდა გადმოებრუნებინა მაშინდელი წყობილება ისე, რომ იქიდან რეაქციის ფესვები აღმოეხოცა. ვერსალი წარმოადგენდა საერთაშორისო რეაქციას. მის დასამარცხებლად უნდა მოსპობილიყო კლასთა ბატონობა. საბოლოოდ გასამარჯვებლათ კომუნას აქეთ უნდა მიემართა თავის საბრძოლველი იარაღი. უნდა მოეხდინა საერთაშორისო რევოლუცია. ეს კი შეუძლებელი იყო ბლანკ-ბოლშევიკური ხერხებით. კაპიტალიზმს ხანას მაშინ შორს ჰქონდა გადგმული ფესვები. მარტო პარიზი ვერ გაძლებდა.

ვერსალმა გაიმარჯვა. არ აიწერება ის სიმხეცე, რომელიც გამოიჩინა მაშინ რეაქციამ. სისხლი, სისხლი და სისხლი...

კომუნარები დაეცნენ, გაუვარდათ ხელიდან წითელი დროშა. მაგრამ... გაიმარჯვეს სიკვდილით. არ დავიწყებულა მათი საქმე, არ დაკარგულა მათი დროშა. ეს ხელში აიღო მთელი ქვეყნის მუშათა კლასმა, რომელიც მიდის კომუნის ნაჩვენებ გზაზე.

ამ გზას გადაუხვია რუსეთის რევოლუციამ ბოლშევიკების მეთაურობით. ამ რევოლუციამ ხელოვნურად გაზარდა თანამედროვე ვერსალი, ახლანდელი რეაქციის ბანაკი მთელი ევროპის ასპარეზზე. ეს „რევოლუცია“ უნდა დამარცხდეს იმ რეაქციის დასამარცხებლათ. აქეთ რუსეთის კომუნისტებისაგან!..

წინ... პარიზის კომუნისკენ!..

თანამედროვე კითხვები

IV

კლასობრივი და ეროვნული.

„ვაიდია მონარქია“... სწორეთ ეს ითქმის დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. რუსეთში ლენინის მთავრობა იმარჯვებს და იფართოებს თავის საზღვრებს. უნგრეთში გაიმარჯვეს მონარქისტებმა და სეცაა აფრიალდება იქ ძველი დროშა. შვეციაში შემდგარა მეფის დავალებით წმინდა სოციალისტური სამინისტრო. გერმანიაში, როგორც უკანასკნელი ცნობებიდან ეტყობა, შინაური ბრძოლის ველზე გაიმარჯვა სამხედრო პარტიამ, და სოციალისტები დამარცხდნენ. შავი ძალები იმართება გაფანტული ნანგრევებისგან სხვა ქვეყნებშიაც.

ამასობაში, ჩვენი საბჭოთა მთავრობა ყველგან აღვივებს რევოლუციონურ ნაკვერცხლებს და გამოჩნდა, რომ ეს გაღვივება უფრო რეაქციას უწყობს ხელს, ვიდრე რევოლუციას.

რეაქცია სარგებლობს ორნაირი საშუალებით. ის ხან მართლაც არის შეიარაღებული და რეფორმებითაც ფიქრობს ხალხზე გავლენის მოპოვებას. ხანაც გაყვა, სოციალისტებსაც გამოიყენებს, ხანაც არა, ძალმომრეობას იხმარს.

პარიზში 1871 წელს, სანამ კომუნისტების რევოლუცია იფეთქებდა ძველი დროის ბურჟუა ტიერი ამბობდა,—საჭიროა როგორმე ახლავე მოხდეს მუშათა კლასის გამოსვლა, რომ გაგვიადვილდეს მთელი მისი მოძრაობის სისხლში ჩახრჩობა.

თანამედროვე ტიერებს არ სძინავთ ინგლისში, საფრანგეთში, გერმანიაში, ამერიკაში, იაპონიაში.. ისინი ერთმანეთს ეძებენ და ურთიერთისათვის თავს გამოიდებენ, თუმცა თითონ ეს სახელმწიფოები ეწინააღმდეგებიან და ემტერებიან ერთი მეორეს.

სოციალისტები, რა თქმა უნდა, ისარგებლებენ ამათი ინტერესების სხვადასხვაობით და ხელს არ შეუწყობენ ტიერების გაერთიანებას. სოციალისტები არ მოინდომებენ, რომ მარჯვენა დიქტატურას დაუპირდაპირონ მარცხენა დიქტატურა..- მარტო თავისი პარტიული ძალით არ გამოვლიან შეთანხმებული ძალების წინააღმდეგ.

მთელი ევროპა განიცდის უზომო ეკონომიურ გაჭირვებას. მკითხველი ნახავს დღევანდელ გაზეთებში საერთაშორისო დახმარების კომიტეტის ანგარიშს, საიდანაც სჩანს, რომ, თუ ახლო მომავალში სხვა და სხვა ქვეყნებს საქონლის, სურსათის მხრივ ხელი არა არ აღმოუჩინეთ, მილიონობით ბავშვები გაწყდებიან, რასაკვირველია, აქ არ კმარა ქველმოქმედება. აქ საჭიროა გამოუყენებელი წყაროების მონახვა. ისე უნდა მოეწყოს ყველგან მეურნეობა, რომ ყოველნაირი სიმდიდრე იზრდებოდეს.

ამისთვის საჭიროა ერთგვარი წესრიგი, ერთგვარი საზოგადოებრივი განწყობილება ამისთანა დროს სამოქალაქო ზავი სჯობია სამოქალაქო ომს. ამისთანა ომში გაიმარჯვებს მხოლოდ რეაქცია, რომელიც ყოველთვის ამბობს:— მე თუ არ ვიქნები, ქვა ქვაზედაც ნუ დარჩენილაო. ეს სამოქალაქო ომი არ გვაცილებს მიწის ძვრას, რომელმაც გაბზარული კედლები დაანგრიოს და ის მიწასთან გაასწოროს მთელ თანამედროვე კულტურას კედლებიან-საძირკვლიანათ.

კლასთა ბრძოლა სოციალისტურ მოძრაობაში საშუალებაა და არა მიზანი. სოციალისტებს ამ საშუალებით ყოველთვის მხედველობაში აქვთ მოიშორონ ისეთი კლასი ან პარტია, რომელიც საზოგადო საქმეს ვერ უვლის, აშენებულს არღვევს, დარღვეულს ვერ აშენებს. თუ თითონ ექნებათ იმედი, რომ შექმნიან ახალ განწყობილებას, ფეხზე დააყენებენ ნაყოფიერ მუშაობას ყველა დარგებში, მაშინ ვალდებული არიან რომ პოლიტიკური მართვა-გამგეობა, დიქტატურა თავის ხელში აიღონ.

დღეს ამის იმედი ვერ ექნებათ ევროპის სოციალისტებს. ქვეყნის ომმა დაგვიტოვა ისეთი საშინელი მემკვიდრეობა, რომ ჩვენი კლასი იქ ვერსად ვერ იკისრებს პასუხისმგებლობას. რაც მოხერხდა ვთქვათ, ამ პატარა საქართველოში, ის არ მოხერხდება დიდ გერმანიაში, დიდ საფრანგეთში, დიდ ინგლისში და სხვაგან. სოციალისტები მარტო თავის ხელით ვერ მოახდენენ სასწაულს ვერ გამოუშვებენ დაშრეტილ წყაროებს, ვერ გააცოცხლებენ მოკლულ ფაბრიკა-ქარხნების ხმაურობას, ხუთი პურით ხუთი ათას მშიერს ვერ გაძღობენ.

ამ პირობებში პოლიტიკურად გაბატონება სოციალისტური პარტიისათვის, მუშათა კლასისთვის დამღუპველი იქნება, ის დაკარგავს ნდობას, გავლენას და თავის მიმდევრებს გადაისვრის სულ მოპირდაპირე ბანაკში.

ჩვენ გვახსოვს, როგორ გამოვიდნენ გერმანიაში სპარტაკელები. მათ გარშემო მუშათა მოძრაობა იყო შეჯგუფებული, სტიქიური, ქაოსური. რომ გაემარჯვათ, მთავრობის ძალა ხელში ჩაეგდოთ, თავის თავსაც ვერ მოუვლიდნენ, სხვა კლასებს გადაიმტერებდნენ, ბოლოს ძირს ჩამოვარდებოდნენ ისე, როგორც უნგრეთში ჩამოვარდა კომუნისტების მთავრობა.

ადვილად შეიძლება ვიწინასწარმეტყველოთ, რომ გერმანელი მონარქისტების გამარჯვება ვერ გამოიღებს სასარგებლო ნაყოფს, ვერ გაამთელებს ეკონომიურ წყლულებს. ეს გარემოება კი ხელახლა აბრუნებს ბოლშევიკურ წისქვილებს. მოხდება ის, რაც ხდება რუსეთში, სადაც გულ გატეხილი ხალხი ხან აქეთ იხრება, ხან იქით.

ამ აქეთ იქით რყევაში მუშათა კლასი ეს მესამე ძალა გაიმარჯვებს მხოლოდ მაშინ, როცა ის ცარიელ ძალმომრეობაზე არ დაემყარება.

ენგელსი სწერდა პარიზის კომუნის შემდეგ:—„როგორც გამოცდილებამ დაგვანახვა, საყოველთაო კენჭის ყრა უფრო გამოსადეგია ჩვენთვის, ვიდრე აჯანყებაო“. ეს დაადასტურა თანამედროვე გამოცდილებამაც. არც ერთ დიქტატურას არ აქვს რუსეთში ფესვები, რადგანაც არც ერთი არ არის საყოველთაო კენჭის ყრით წარმოშობილი.

ლენინის მთავრობის ეშინიან თავისუფალ არჩევნების. ხშირათ უნდა მოეხდინა რიგით ადგილობრივი საბჭოების გადარჩევა, მაგრამ ბოლშევიკები ამბობდნენ, შეიძლება ახალი შედგენილობა აღარ იქნეს ჩვენთვის ხელსაყრელიო. უარყოფენ ხოლმე ხელახალ არჩევნებს. ადგილობრივ საბჭოებს ამიტომ ეკარგება ბოლოთ კავშირი მუშებთან, ეკარგება ბოლოთ ნდობა. თითონ მათი წევრებიც აღარ ეწყობიან კრებებზე კომისარებით განაგებენ უპასუხისმგებლოთ, დამოუკიდებლათ. ხშირათ ეტყოდნენ ხოლმე მუშები ფაბრიკა-ქარხნებიდან,—ვინ აგირჩიათ, ვინ მოგანდოთ ჩვენი მართვა გამგეობა? ჩვენ არ გაგვიგია, რაც გაიგეს გაზეთებიდან, რომ ლენინის მთავრობას განძრახვა აქვს ადგილობრივი საბჭოების გაუქმება. ეს აუცილებელი ნაბიჯი იმ მთავრობის პოლიტიკურ გზაზე. აქ იჭრება მთავარი ფესვი, რომელზედაც ის ამოსცენდა ოქტომბრის „რევოლუციის“ დღეებში.

რევოლუცია ვერ გაიმარჯვებს, როცა მოშორდება საყოველთაო არჩევნებს. ვერც რეაქცია გაიმარჯვებს უამისოთ. ხალხის ნება უნდა იყოს ერთის საძირკველიც და მეორისაც.

სპარტაკელების გამოსვლა დამარცხდა გერმანიაში, რადგან ის არც ერთი მხრით არ შეეფერებოდა უმრავლესობის ინტერესებს. არ შეეფერება არც იქაური რეაქციონერების გამოსვლა. მუშათა კლასმა უარყო იმ დროს სპარტაკის დროშა, ის, იმედია, ახლა გადამტერებია დამარცხებული ვილჰელმის დროშასაც.

მესამე ძალა იყო გერმანიაში, არის და იქნება. ის ხალხს დაიხსნის მარჯვენა-მარცხენა ანარქიისაგან. ის არ დაივიწყებს ანბანს სოციალისტური მოძრაობისას. ჩვენ, აქ დან ვისწავლეთ ეს ანბანი. სხვა ქვეყნებიც მისი მოწაფეები იყვნენ.

ამ ანბანში ყოველთვის ვკითხულობდით, რომ კლასთა ბრძოლა არ არის უბრალო შურის ძიება, გულის ჯავრის ამოყრა, ყოველ ფეხის გადადგმაზე თოფის და ხანჯლის ხმარება. კლასთა ბრძოლა ხდება პოლიტიკურ ნიადაგზე. იარაღი აქ ერთი-ერთი საშუალებაა და არა ერთად ერთი.

გაბატონებული კლასი არ ჩამოვარდება ძირს, სანამ ის არ გადაიმტერებს ყველა დანარჩენ კლასებს. ახალი კლასი ვერ გაბატონდება, სანამ ის ყველა ამ უკმაყოფილოებს გარშემო არ მოიკრებს. ის უნდა იყოს ერის წარმომადგენელიც, საყოველთაო არჩევნებით ნდობა. ხელში უნდა ეჭიროს კლასობრივი დროშაც და ეროვნულიც წითელიც და სამფეროვანიც.

ვერ გაიმარჯვებს ვერც ერთი კლასის დიქტატურა, თუ ის იმავე დროს ეროვნული დიქტატურაც არ იქნება.

ს. დევდარიანი.

კონტრ-რევოლუცია გერმანიაში

დღევანდელ დეპეშებიდან უკვე გარკვეულად ჩანს ის, რაც გერმანიაში მოხდა ამ დღეებში. სამხედრო პარტიამ გენერალ ფონ-ლიუტვიცის, ადმირალ ფონ-ტირპიცის და დოქტორ ფონ-კაპპის მეთაურობით მოახდინა ბერლინში კონტრ-რევოლუციური გადატრიალება, შეიყვანა ამ ქალაქში ბალტიის ზღვის ნაპირებიდან დაბრუნებული ჯარი, რომელიც უწინვე იჩენდა სოც.-დემოკრატიულ მთავრობის ურჩობას და მისადმი მტრულ განწყობილებას, გამოაცხადა სოც.-დემოკრატიული მთავრობა, ნაციონალური კრება (დამფუძნებელი კრება) დათხოვნილად აღიარა და თავისი მეთაურები გამოაცხადა გერმანიის მთავრობად. როგორც მოსალოდნელი იყო, სოც.-დემოკრატიული მთავრობა სრულებითაც არ ფიქრობს შეურიგდეს ამ ძალადობას და [illegible] გამოუცხადა ამბოხებულ გენერლებს: პრეზიდენტ ებერტს, პრემიერ ბაუერს და სამხედრო მინისტრს ნოსკეს თავი შეუფარებიათ „წითელ" საქსონიის ქალაქ დრეზდენში და იქ გამოუციათ მანიფესტი რომელშიაც გერმანიის პროლეტარიატს მოუწოდებენ საყოველთაო გაფიცვისაკენ. როგორც ბოლშევიკური, ისე ფრანგული ცნობებიდან ჩანს, რომ ამ მოწოდებას უკვე თავისი ნაყოფი გამოუღია და გაფიცვას თავი უჩენია გერმანიის მრავალ ქალაქებში: თვით ბერლინში, ფრანკფურტში, დიუსელდორფში, ნიურნბერგში, ბრესლავში და სხვ. ზოგიერთ ქალაქებში გაფიცვის ჟამს უკვე დაიხოცნენ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობის და სამხედრო პარტიის მთავრობის მომხრეთა შორის უკვე დიდი შეტაკებები მხდარა. საზოგადო შთაბეჭდილება მოსულ ცნობებისა ისეთია, რომ გერმანიაში ხელახლად იწყება სამოქალაქო ომი. წარსულ წელს გერმანიამ უკვე გამოსცადა, რაა სამოქალაქო ომი. მაგრამ ის ომი, რომელსაც გერმანიაში ადგილი ჰქონდა წარსულ წელში, საზოგადოების მარცხენა ნაწილების წარმომადგენელთა დემოკრატიზმის ნიადაგზე მდგომ სოც.-დემ. მთავრობაზე მარცხნიდან მოქმედება იყო. „სპარტაკელები", გერმანიის ბოლშევიკები, მოითხოვდნენ, რომ დემოკრატიული რესპუბლიკის ნაცვლად გერმანია „საბჭოთა რესპუბლიკად" გადაქცეულიყო და დამყარებულიყო პროლეტარიატის დიქტატურა.

დღევანდელი სამოქალაქო ომი, პირიქით, გერმანიის საზოგადოების მარჯვენა ფრთიდან სწარმოებს. დემოკრატიზმის ნიადაგზე მდგომ სოციალ-დემოკრატიულ მთავრობას დღეს ომს უცხადებს უკიდურესი მემარჯვენე—მემამულეთა და მსხვილ კაპიტალისტთა—პარტია. ვერავის შეცდომაში ვერ შეიყვანს ის სახელი, რომელიც დაირქვა მან—„თავისუფლების და წესიერების პარტია". ვერავის ვერ მოატყუებს მის მეთაურთა რწმუნება, რომ ისინი არავითარ სახელმწიფო გადატრიალებას არ ფიქრობენ, რომ ისინი რესპუბლიკის მიერ მიღებულ კონსტიტუციის ნიადაგზე იდგებიან, რომ მოიწვევენ თავისუფლად არჩეულ პარლამენტს და სხ. რომელი კონტრ-რევ. იტყვის დასაწყისშივე, რომ მისი მიზანი სრული მოსპობა იმ თავისუფლებისა, რომელიც ხალხს ბრძოლით აქვს მოპოვებული? ჩვენთვის უკვე ის გარემოებაა დამახასიათებელი, რომ გადატრიალების სამივე მოთავე გვარი, რომლებიც ეტყვიან ჯერ ჯერობით, იწყება „ფონ"-ით, რაიც მათ იუნკრულ (ფეოდალურ) წარმოშობილობას ამჟღავნებს. არა ნაკლებ საყურადღებოა ისიც, რომ გადატრიალებას ხელმძღვანელობენ გამოჩენილი ადმირალი ფონ-ტირპიცი, რომელმაც ომის დროს თავი ისახელა სამგზავრო და კომერციულ გემების ნაძირვით, და ყოფილ მეფის გენერალი ფონ-ლიუტვიცი. მაგრამ ყველაზე დამახასიათებელია ის განცხადება, რომელიც გამოქვეყნებია კონტრ-რევოლუციის მესამე მოთავეს—ფონ კაპპს:

„ახალმა მთავრობამ იცის, უთქვამს მას, რომ მეურნეობის უმეტესობა შეუძლებელია [illegible] ჩაუგდოს. მთავრობამ განაცხადა, რომ იგი სოციალიზმზე სასტიკად [illegible] მუშათა ყოფა გვარ გამოასწორებს და თუ მუშებმა ძალას მიმართეს, მაშინ მათ წაართმევენ იმ უფლებასაც, რომელიც ამ ცოტა ხანში მიიღეს".

ამ ნაირათ მთელი სურათი იმ ამბებისა, რომელიც გერმანიაში ხდება, იმის მაუწყებელია, რომ იქ მომხდარა ნამდვილი კონტრ-რევოლუციური გადატრიალება და რომ ამას გამო გერმანიაში ჩაედება ახალი სამოქალაქო ომი, რომელშიაც ერთ მხარეზე იდგება მუშათა კლასი და მის გარშემო შემოკრებილი მთელი დემოკრატია, მეორე მხარეზე კი—იუნკერები და მსხვილი ბურჟუაზია, რომლებიც ცდილობენ ვილჰელმ მეორის ძველის ნაწილებს, მეტადრე მის გენერლობას და ოფიცერობას. ჩვენ არ შეგვიძლიან წინასწარმეტყველობა გავწიოთ და გამოვიცნოთ, რით გათავდება ეს სამოქალაქო ომი, რომელი მხარე დარჩება საბოლოოდ გამარჯვებული, მაგრამ ერთი ეჭვს გარეშეა კი დღესვე შეგვიძლიან. შეიდემან ბაუერ-ნოსკეს მთავრობა იმდენად დასუსტებული გამოდგა, რომ მას ვერ მოუხერხებია დროზე ამ კონტრ-რევოლუციონერებისა; შეიდემანით შემდეგ სოც. დემოკრ. მთავრობა დღეს მეტად უფრო დასუსტებულია.

ძნელი არ არის ამის მიზეზების გამოცნობა.

მთავარი მიზეზი გერმანიის რევოლუციური მთავრობის სისუსტისა, რა თქმა უნდა, ის არის, რამაც გამოიწვია მსოფლიო კრიზისი და ყველა სახელმწიფოთა დასუსტება-დაქვეითება. ეს არის ის საერთაშორისო ავლადიდების ჯოჯოხეთური განადგურება, რომელიც გრანდიოზულმა კაცობრიობამ მოახდინა მთელს მსოფლიოში. მიუხედავად იმ უებარი საორგანიზაციო ნიჭისა, რომელიც გამოიჩინა გერმანიამ 5 წლის სისხლიანი ომის განმავლობაში, იგი მაინც დამარცხებული და ქონებრივად დაუძლურებული გამოვიდა ამ ომიდან, რადგან მას მთელი ქვეყნის უძლიერეს სახელმწიფოთა შეერთებულ ძალებთან უხდებოდა ბრძოლა. ეს დაუძლურება ისე ძლიერი გამოდგა, რომ გერმანიის საქმეების სასწრაფოდ გამოსწორება ყოველს ხელმძღვანელ პარტიის და მთავრობის ძალას აღემატებოდა.

მაგრამ გერმანიის ცხოვრების ჩაყენებას ახალ წესიერების კალაპოტში ყველაზე მეტათ ხელს უშლიდა. გარეშე ძალა—გამარჯვებულ „ანტანტის" შემმართებლობით დრაკონისებური ზომები გერმანიის მიმართ. ვერსალის საზავო ხელშეკრულება ისეთ უზარმაზარ ტვირთს ადებს გერმანიას, რომ მის სიმძიმის ქვეშ ხალხი წელში ვერ გამართულა. ამ ხელშეკრულების შესრულება ნიშნავს გერმანიის ხალხის სრულ დაძაბუნებას, მის ქონებრივ გადატაკებას, მის მაღალ კულტურის დაქვეითებას. ეს იწვევს გერმანიის ხალხში უკმაყოფილების და მძულვარების ზრდას მძლეველთა მიმართ და აღრმავებს ეროვნულ გაბოროტებას ხალხის გულში. ინტერნაციონალიზმის და ეროვნულ შერიგების ნიადაგზე მდგომი სოციალ-დემოკრატიული პარტია, რომელსაც გერმანიის სახელმწიფოს სადავე ეჭირა ხელში რევოლუციის დასაწყისიდან, ეჭვი არ არის, უნდა დასუსტებულიყო იმ შეურაცხმყოფელ და უზომო მოთხოვნილებათაგან, რომელიც გამარჯვებულმა სახელმწიფოებმა წარუდგინეს გერმანიის ხალხს. პირიქით ამ გარემოებას ისეც უნდა გაეძლიერებინა ის მიმართულებები, რომელიც ყოველთვის ნაციონალურ მძულვარების და შურისძიების მატარებელი ყოფილა და რომელმაც ხუთი წლის ომის შემდეგ, დიდი რევოლუციის გამოცხადებისა, დაკარგა გერმანიის ხალხში თითქმის ყოველივე ნდობა. ამნაირათ, ერთი მიზეზთაგანი იმ კონტრ-რევოლუციური გადატრიალებისა, რომელიც გერმანიაში მოხდა, არის გამარჯვებული სახელმწიფოების მკაცრი ზომები გერმანიის მიმართ და ის გამოუვალი მდგომარეობა, რომელშიაც საზავო ხელშეკრულებამ ჩააყენა ნაციონალურ შერიგების მომხრე სოციალ-დემოკრატიული მთავრობა.

მესამე მიზეზი ამ მთავრობის სისუსტისა მდგომარეობს იმ განხეთქილებაში, რომელიც „სპარტაკელებმა" შეიტანეს გერმანიის დემოკრატიაში. მთელი წლის განმავლობაში სოც.-დემოკრატიულ პარტიას ბრძოლა „მარცხნივ" უხდებოდა. უმცირესობის დიქტატურის მოტრფიალენი გერმანიაში დამყარებულ დემოკრატიულ წყობილების დანგრევას ლამობდნენ, ეს კი ნიშნავდა ყველა იმის განადგურებას, რაც გერმანიის ხალხმა რევოლუციის გზით მოიპოვა. მთელი ყურადღება შეიდემან ებერტის მთავრობისა, „მარცხნივ" იყო მიპყრობილი, „სპარტაკელთა" ანარქიის საფრთხეზე. ეს გარემოება მას არ აძლევდა დროს და საშუალებას სათანადო ანგარიში გაეწია იმ კონტრ-რევოლუციურ მზადებისათვის, რომელსაც აწარმოებდნენ იუნკრები და მსხვილ კაპიტალისტების პარტიები. „სპარტაკელთან" ბრძოლის დროსვე ბევრი ნიშნები იყო იმისა, რომ გერმანიაში კონტრ-რევოლუცია იხაზება და რაღაცას აპირებს.

სოციალ-დემოკრატიის უმრავლესობის მოუტევებელი დანაშაულია, რომ ამ მზადებას დროზე ვერ გაუწია სათანადო ანგარიში და ზომები ვერ მიიღო კონტრ-რევოლუციის დასაწყისშივე ასალაგმავად. მაგრამ ამ საქმეში არა-ნაკლები ბრალი ედებათ ანარქიის მქადაგებლებს, რომლებმაც განხეთქილება შეიტანეს პროლეტარიატში, სამოქალაქო ომი გააჩაღეს იმ პარტიის წინააღმდეგ, რომელიც დემოკრატიზმის ნიადაგზე იდგა, და ამით ამ პარტიის ყურადღება შეასუსტეს იმ მხარეზე, საიდანაც გერმანიის რევოლუციას ყველაზე მეტი საფრთხე მოელოდა. **ლ. ნ.**

დამფუძნებელი კრება

16 მარტის სხდომა.

თავმჯდომარეობდა ს. მდივანი.

მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი დეკრეტებისა. 1) ქართული საქველმოქმედო საზოგადოებისათვის დახმარებათ 1,500,000 მან. მიცემისა; 2) მიწათ მოქმედების სამინისტროს ერთ-დროული სამ-სემესტრიან ხეხილის კურსების ოთხ სემესტრიან განმეორებით კურსებათ გადაკეთების შესახებ; 3) ეპიდემიის წინააღმდეგ ბრძოლისათვის წინასწარ ზომების მისაღებათ 2 მილიონი მან. გადადებისა, 4) საქართველოს და სომხეთს შორის ნეიტრალურ ზონის მილიციის შტატის შემოღებისა, 5) შავიქვის მრეწველთა საბჭოსათვის 360,000 მან. სესხათ მიცემისა სახაზინო ანგარიშით. მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტი კანონებისა. 1) დამფუძნებელი კრების წევრობის და მოხელეობის შეუთავსებლობისა და წევრთა გასამჯელოს კანონის დამატებისა, 2) საგვარეულო უძრავი ქონების გამოყიდვის უფლების გაუქმების შესახებ.

შემდეგ თავმჯდომარე აცხადებს, რომ ერთი წელი შესრულდა რაც დამფუძნებელი კრება მოქმედობს, ამიტომ თანახმად არსებული წესებისა, უნდა მოხდეს პრეზიდიუმის და კომისიების არჩევნები.

სოც.-რევოლუციონერებმა განაცხადეს, რომ ისინი კენჭ საყრის დროს თავს შეიკავებენ. პრეზიდიუმში ფარული კენჭის ყრით არჩეულ იქნენ ნ. ჩხეიძე თავმჯდომარეთ მიიღო 44 თეთრი, 5 თავი შეიკავა, თავმჯდომარის უფროს ამხანაგათ ალ. ლომთათიძე—მომხრე 45, წინააღმდეგ 1, 6 თავი შეიკავა, თავმჯდომარის უმცროსს ამხანაგებათ არჩეულ იქნენ: ქრ. შარაშიძე და ქ. ჯაფარიძე, პრეზიდიუმში ერთი ადგილი თავისუფალი დარჩა.

შემდეგ მოხდა კომისიების არჩევნები. ლ. შენგელიამ და გ. გვაზავამ განაცხადეს, რომ ყველა ფრაქციას უნდა მიეცეს საშუალება იყოლიოს თავისი წარმომადგენელი ამა თუ იმ კომისიაში.

გრ. გიორგაძემ აღნიშნა, რომ სოც.-დემოკრატიული ფრაქცია სიამოვნებით მიიღებს ამ განცხადებას, მხოლოდ სამწუხაროთ სხვა ფრაქციების წარმომადგენელნი ნაკლებათ ესწრებოდნენ კომისიების სხდომებს და ეს აფერხებდა მათ მუშაობას, მაგრამ ჩვენ ვაცხადებთ, რომ თუ რომელიმე ფრაქცია მოისურვებს იყოლიოს თავისი წარმომადგენელი ამა თუ იმ კომისიაში, ეს მისი სურვილი დაკმაყოფილებულ იქნება და ის დაემატება კომისიის რიცხვს გადამწყვეტი ხმით. გრ. გიორგაძის განცხადება მიღებულ იქნა.

შემდეგ არჩეულ იქნენ შემდეგი კომისიები: საპარლამენტო (7 კაცი), საკონსტიტუციო (16 კაცი), საბიუჯეტო (16 კაცი), სარედაქციო (7 კაცი), სამხედრო (16 კაცი), ხელოვნების (11 კაცი), იურიდიული (9 კაცი), საგზაო (10 კაცი), სახალხო განათლების (12 კაცი), სახალხო ჯანმრთელობის (9 კაცი), შრომის (13 კაცი), საბიბლიოთეკო (11 კაცი), სამეურნეო (11 კაცი), საგარეო (9 კაცი), მომარაგების (8 კაცი), თვითმართველობის (12 კაცი). კომისიებში ყველა ფრაქციებს არ გამოუგზავნიათ თავიანთი წარმომადგენელნი და ამიტომ კომისიის შემადგენლობას ამ ჟამად არ ვბეჭდავთ.

შემდეგ მოხდა სახელმწიფო ბანკის საბჭოს წევრთა არჩევნები. არჩეულ იქნენ: გამგეთ ივანე ლორთქიფანიძე, საბჭოს თავმჯდომარეთ ნ. ელიავა, მის ამხანაგათ ს. მდივანი, საბჭოს წევრებათ: ვ. ბერულაშვილი, გ. ქურული, დ. თოფურიძე, ა. ფორაქიშვილი, ქ. მესხი, პ. ჭიჭინაძე და ი. ცაგარელი.

— —

ცნობა დამფუძნებელ კრების საკანონმდებლო მოქმედების 1919—1920 წლის განმავლობაში.

I. დამფუძნებელი კრების მოქმედება დაწყებულ იქნა 1919 წლის მარტის 12, შესაბამად, ერთი წლისთავი მისი მუშაობისა 1920 წლის მარტის 12 ს შესრულდა.

ამ ხნის განმავლობაში დამფუძნებელი კრების სხდომები შეწყვეტილი იყო საზაფხულო არდადეგებისათვის — 1919 წლის აგვისტოს 3 დან სექტემბრის 19 დე და საშობაო-საახალწლო დღესასწაულების გამო 1920 წლის იანვრის 1-დან 23-დე.

ხოლო ამ უკანასკნელი დასვენების დროს გამართული იქნა საზეიმო-სადღესასწაულო სხდომა იანვრის 14 ს საქართველოს დამოუკიდებლობის აღიარების გამო.

II. წლის განმავლობაში დანიშნული იყო სულ 97 სხდომა. ამათ შორის [illegible] რიგითი—77 და საგანგებო 20.

ამ საერთო რიცხვიდან არ შესდგა 3 მორიგი სხდომა ქვორუმის გამო.

III. წლის განმავლობაში დამფუძნებელი კრების განსახილველად შემოვიდა სხვადასხვა ხასიათის საკანონმდებლო აქტი, სულ 415.

ინიციატივის შემდეგი განაწილებით.

1. მთავრობისა	12
2. შინაგან საქმ. მინისტრისა	77
3. გარეშე საქმ. მინისტრისა	5
4. ფინანსთა და ვაჭ. მრ. მინ.	54
5. მიწათმოქმედ. მინისტრისა	33
6. გზათა მინისტრისა	49
7. იუსტიციის მინისტრისა	19
8 განათლების მინისტრისა	36
9 შრომის მინისტრისა	28
10. სამხედრო მინისტრისა	28
11. სახელმწიფო კონტრ.	2—329

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიებისა.

1. პრეზიდიუმისა	16
2. საკონსტიტუციო კომისიისა	8
3. იურიდიულ კომისიისა	14
4. საბიუჯეტო საფ. კომის.	12
5. სამხედრო კომისიისა	16
6. ადგილობრივი მმართველობის და თვითმართველობის კომის.	7
7. განათლების კომისიისა	5
8. ხელოვნების კომისიისა	2
9. საპარლამენტო კომისიისა	1
10. საბიბლიოთეკო კომის.	1
11. აგრარული კომის.	2—79

ფ რ ა ქ ც ი ე ბ ი ს ა.

1. სოც.-დემ. ფრაქციისა	6
2. ეროვ.-დემ. ფრაქციისა	1
3. ეროვნულ ფრაქციისა	1—08
სულ	415

ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

1. კანონპროექტის სახით იყო	114
2. დეკრეტის სახით	280
3) დადგენილების სახით	11
4 დებულების სახით	7
5. რეზოლუციის სახით	3
სულ	415

კლასიფიკაცია ამ საკანონმდებლო აქტებისა—თვისი ხასიათის და შინაარსის მხრივ უნდა იქნეს შემდეგი:

№№ რიგზე.	დ ა რ გ ი.	საკანონ. აქტის რიცხვი.
1.	დამფუძნებელი კრების შინაგანი განწესრიგებისა	3
2.	უზენაესი გამგებლობა	4
3	საკონსტიტუციო	10
4.	უმაღლეს დაწესებულებათა დაარსებისა	5
5.	საერთაშორისო უფლებ.	3
6.	საადმინისტრაციო უფლებისა	10
7.	სამოქალაქო უფლებისა	12
8.	სისხლის სამართლის უფლებისა	7
9	აგრარული ხასიათისა	7
10.	საემისიო უფლებისა	5
11.	საბიუჯეტო უფლებისა	4
12	სახელმწიფო ფისკი	31
13.	ბიუჯეტის და მისი ნაწილები	6
14.	სახელმწიფო დაწესებულებათა ორგანიზაცია და მათი შენახვის ხარჯი	144
15.	სახელმწიფოს სამეურნეო და სხვა და სხვა ხარჯი	56
16.	კულტურულ-საგანმანათლებლო ხარჯები	22
17	სესხის გაცემა	12
18.	სახელმწიფო დახმარება მსხვერპლთათვის	5
19.	საპენსიო და სალიკვიდაციო ხასიათისა	4
20.	შრომისა და მუშათა საკითხისა	8
21.	სათვითმმართველო	4
22.	ვაჭრობა-მრეწველობისა	10
23.	სამხედრო	43
		415

ეს საკანონმდებლო აქტები წინასწარი განხილვისათვის დამფუძნებელი კრების შემდეგ კომისიათ გადაეცა: *)

1. საბიუჯეტო-საფინანსო კომისიას	284
2. იურიდიულ კომისიას	54
3. გზათა კომისიას	34
4. ადგილობრივი მმართველობის და თვითმმართველობის კომისიას	21
5. განათლების კომისიას	34
6. შრომის კომისიას	9
7. გარეშე საქმეთა კომისიას	5
8 ჯანმრთელობის კომისიას	10
9. სამხედრო კომისიას	26
10. საკონსტიტუციო კომისიას	4
11. აგრარულ კომისიას	19
12 ხელოვნების კომისიას	3

ამ საკანონმდებლო აქტებიდან:

1. განხილულია და მიღებული	278
2. გაუქმებულ ან ერთი მეორეში ჩართულ იქნა	12
3. უწყებას უკან დაუბრუნა	33
4. დარჩა განუხილველი	92
სულ	415

შეკითხვები შემოტანილი იყო:

1. სოციალ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან	1
2. სოციალ-ფედერალისტთა ფრაქციის	2
3. სოციალ-რევოლუციონერთა ფრაქციის	3
4. ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციისაგან	8
5. ეროვნულ-პარტიის ფრაქციისაგან	3
სულ	17

კ ი თ ხ ვ ე ბ ი.

1. სოციალ ფედერალისტ. ფრაქ.	1

შეკითხვებიდან:

1. განხილულ იქნა	13
2. მოიხსნა განხილვისაგან	2
3. დარჩა განუხილველი	2
სულ	17

კ ი თ ხ ვ ე ბ ი:

1. მოსმენილ იქნა	1

დამფუძნებელი კრების პრეზიდიუმისა და კომისიების სხდომების რიცხვი.

1. პრეზიდიუმს სხდომა ჰქონდა	171*)
2. საბიუჯეტო საფინანსო კომისიას	74
3. საკონსტიტუციო კომისიას	48
4. იურიდიულ კომისიას	54
5. განათლების კომისიას	67
6. შრომის კომისიას	20
7. აგრარულ კომისიას	88
8. გარეშე საქმეთა კომისიას	30
9. ადგილობრივი მმართველობის და თვითმართველობის კომისიას	41**)
10. ჯანმრთელობის კომისიას	9
11. სამხედრო კომისიას	49
12 გზათა კომისიას	47
13. ხელოვნების კომისიას	47
14. საბიბლიოთეკო კომისიას	24
15. საპარლამენტო კომისიას	7
16. სამეურნეო—სავაჭრო კომისიას	18
17 სარედაქციო კომისიას	93
18 სამანდატო კომისიას	3
19 საპროპაგანდო კომისიას	5

დამფუძნებელი კრება შესდგება ექვსი ფრაქციისაგან.

1. სოციალ-დემოკრატიულისა.
2 სოციალ ფედერალისტთა.
3. სოციალისტ-რევოლუციონერთა.
4. ეროვნულ დემოკრატიულისა.
5. ეროვნულისა.
და 6. დაშნაკცუთიუნისაგან.

---

*) ზოგიერთი საკანონმდებლო აქტი რამდენსამე კომისიას გადაეცა განსახილველად. ამის გამო საერთო რიცხვი კომისიებისათვის გადაცემულ აქტებისა არ შეეფარდება შემოსულ აქტების საერთო რიცხვს.

ამის გარდა,—ამ განაწილებაში აღნიშნული არ არის ის აქტები, რომლებიც კომისიების ინიციატივით შემოვიდა და სხვა კომისიას არ გადაეცემია წინასწარი განხილვისათვის.

*) ამ რიცხვიდან—ფრაქციების წარმომადგენლებთან ერთად 11.

პროფ. კავშირთა საბჭოს მოწოდება

პროფესიონალურ კავშირთა საბჭომ შემდეგი მოწოდება დაუგზავნა პროფ. კავშირებს:

ამხანაგებო! პარასკევს, 19 მარტს, დამფუძნებელი კრება ბათუმის საკითხს არჩევს.

საკითხი იმდენად რთულია, მომენტი იმდენად სერიოზულია, რომ თფილისის პროლეტარიატს არ შეუძლია სიჩუმით შეხვდეს ამ კითხვას. ჩვენ ქუჩიდან უნდა მივსცეთ შეკითხვა მთავრობას, რომ ვიცოდეთ, თუ რა ნაბიჯების გადადგმას აპირებს ის ბათუმის საკითხის სამართლიანად გადაჭრაში.

ამ მომენტში ჩვენ არ შეგვიძლია გავჩუმდეთ და ჩვენი აზრი ხმამაღლა და საჯაროთ უნდა გამოვთქვათ.

აგრეთვე, ჩვენ უნდა განვუცხადოთ თფილისში მყოფ უცხო სახელმწიფოთა მისიებს, თუ რას ფიქრობს თფილისის პროლეტარიატი და რა უნდა მას.

ამისათვის საბჭოს სეკრეტარიატი წინადადებას გაძლევთ თქვენ პარასკევს, 19 მარტს, დღის 12 საათზე მიატოვოთ ჩვეულებრივი მუშაობა და დროშებით და მუსიკით თავი მოიყაროთ მუშათა სასახლესთან.

გერმანიაში

(ფრანგული ცნობებიდან)

პრეზიდენტმა ებერტმა და კანცლერმა ბაუერმა დასტოვეს დრეზდენი, სადაც ნამდვილი მთავრობა შეიკრიბა და გაემგზავრენ შტუტგარტს, სადაც სამშაბათს ეროვნული კრება უნდა შეიკრიბოს. სამხრეთ-გერმანიის (საქსონიის, ბავარიის, ვიურტემბერგის, ბადენის, ჰესენის) მთავრობებმა, ბაუერის მთავრობას ნდობის მანიფესტი გამოუცხადეს—[illegible] პარიზში მყოფმა გერმანიის რწმუნებულმა ინახულა მილერანი და განუცხადა: გერმანიაში სამხედრო გადატრიალება ვერ გაიმარჯვებს და ბაუერის მთავრობა ერთგულად ასრულებს მოკავშირეების მიმართ დადებულ ვალდებულებებს მოკავშირეები მზად არიან ყოველ გვარ შემთხვევისათვის, მაგრამ კონფლიქტში მხოლოდ მაშინ ჩაერევიან, თუ გერმანიაში დამყარდება ჰოგენცოლერნებიდან გამოსული მთავრობა, ვერსალის საზავო ხელშეკრულებისადმი ოპოზიციაში ჩასადგომათ.

ჰოლანდიის მთავრობამ გაძლიერა ზედამხედველობა ამერონგენის ციხე-დარბაზზე, სადაც ვილჰელმი ცხოვრობს. სინდიკალისტების კონფედერაციამ [illegible] გაფიცვის გამოცხადებისა [illegible] ტა, თუ კაპპ-ისა და ელექტრონის განათებისა და გზათა მუშები ბერლინში გაფიცულნი არიან. მათ რეაქციის საპროტესტოთ ვრცელდება დიდ ქალაქების უმეტესობაში, როგორც მაგალ. კილში, ჰამბურგში, კიოლნში, ფრანკფურტში, ესენში., დიუსელდორფში მუშებსა და ჯარებს შორის შეტაკება მოხდა. მკვდარია 15, დაჭრილია მრავალი.

ლონდონი. მარტის 16. გერმანიის გადატრიალებას საფრანგეთში მშვიდობიანათ შეხვდენ. გაზეთი „მატენი" ამბობს: ლეგალურ მთავრობათ უნდა ვიცნოთ ის მთავრობა, რომელიც ეროვნულ კრებას წარუდგება, „პტი პარიზიენი" აქვეყნებს ტარდიეს წერილს, სადაც ნათქვამია, რომ საფრანგეთისათვის სულ ერთია გერმანიაში რომელი მთავრობაც უნდა იყოს, ოღონდ კი მან ვერსალის ხელშეკრულობის პირობები შეასრულოს.

(ბოლშევიკების ცნობებიდან)

სტეკლოვის აზრი.

იზვესტიაში სტეკლოვი გერმანიის ამბების შესახებ სწერს: ეს უნდა მომხდარიყო და მოხდა. სოციალშოვინისტთა მთავრობას საკუთარი დასაყრდენი არ ქონდა. ბურჟუაზიისთვის ნამეტანი მემარცხენე იყო, პროლეტარიატისათვის კი კონტრ-რევოლუციონერი და გამცემი იყო მხოლოდ იმიტომ, რომ ბურჟუაზიას არ შეეძლო დაებრუნებინა უფლებას და მუშებს კი ჯერ კიდევ ვერ ეყოლით ხელში [illegible].

მის ქვემოთ და მის გარშემო არსებობდა სიცარიელე. ბურჟუაზიას სძულდა ის, პროლეტარიატსაც სძულდა და კიდევაც ეზიზღებოდა, მთავრობა მხოლოდ მუშათა საწინააღმდეგო რეპრესიებით სიცოცხლის ნიშან-წყალს აძლევდა თავის ცხოვრებას. ნოსკეს შედეგია თეთრი გვარდია. ის მოწყობილი იყო ბურჟუაზიისაგან და სარდლობდა იმპერიალისტური ძველი ოფიცრობა. როდესაც ბურჟუაზიამ სული მოითქვა, თეთრი გვარდია გამოვიდა და დაიცვა არა შეიდემანი, არამედ თავისი თავი, თავისი კლასი, ბურჟუაზიის უფლება. გადატრიალება მიმართულია მუშათა კლასის წინააღმდეგ, მაგრამ ამლა მუშათა კლასმა წინააღმდეგობა არ გაუწია, მაგრამ როდესაც ის გაილაშქრებს, გაილაშქრებს თავის ინტერესებისათვის, სოციალურ რევოლუციისათვის. გერმანიის კორნილოვშჩინა მხოლოდ შესავალია პროლეტარული რევოლუციისა და ის დაიქცევა, ჩვენ ვგრძნობთ მას და ვეუბნებით კონტრ-რევოლუციას: „რასაც აკეთებ, გააკეთე ბარემ მალე".

რადეკის აზრი.

რადეკი „იზვესტიაში" სწერს: სამხედრო გადატრიალება წარმოადგენს იმ მეჯლიუზეს, რომელსაც მოელოდნენ გერმანიის კომუნისტები და რომელსაც ისინი წინასწარმეტყველებდნენ, როდესაც გერმანიის კაპიტალის დიქტატურას ჩამოეცალა დემოკრატიის ნიღაბი, როდესაც ამ დიქტატურას სათავეში ჩაუდგა პრუსიის გენერალი. ეხლა მუშების გაერთიანება პროლეტარული დიქტატურის დროშის გარშემო ათჯერ უფრო ადვილი გახდა. ჩვენ არ ვიცით გერმანიის მუშებს რის გაკეთება შეუძლიათ ამ ჟამათ გერმანიის კორნილოვების საწინააღმდეგოთ. მაგრამ სიტყვები რომლებიც მე გერმანიის სამხედრო პარტიის მეთაურმა მითხრა: „რკინის გზელებს და მადაროს მუშებს ხელი სახელმწიფოს ყელში უჭირავთ", ეს გარემოება ამტკიცებს გერმანიის კონტრ-რევოლ. ბოლოს. გერმანიაში სამხედრო გადატრიალებას დიდი მნიშვნელობა აქვს. გენერალმა ლიუტვიცმა ჩამოაგდო რა ნოსკე, დაიჭირა ადგილი, რომელსაც ვერსალის ხელშეკრულება უწოდებს. ის შეიძლება ფიქრობდეს, რომ შესძლებს მოლაპარაკებას მოკავშირეებთან, სანამ ის გერმანიის მუშებზე არ გაიმარჯვებს. შეიძლება მან მათ არ შესთავაზოს ზავი საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ, მაგრამ მოკავშირეებს არ შეუძლიათ ლიუტვიცს აჰყვნენ, რადგან ლიუტვიცი ვერსალის რეჟიმს ცდილობს.

თუ საფრანგეთის ჯარმა ამ ჟამათ რაინის ვესტფალი არ დაიჭირა, საფრანგეთი იძულებული შეიქნება იარაღში იდგეს. საფრანგეთსა და გერმანიის შორის ახალი ომის ხაზი, თუმცა, ჯერ ძველებიც კი არ ამოვსებულა. ჩვენი დამოკიდებულება გერმანიაში აჯანყებულ სამხედრო პარტიისადმი, თუ მან რამდენიმე ხნით გაიმარჯვა, სრულიად ნათელია. ჩვენ იმას გერმანიის მუშათა კლასის მხარის დამქირავ ობიექტით ჩავსთვლით, რაც უნდა დიდხანს იარსებოს მან, ჩვენ მათთან ვეცხოვრობთ მშვიდობიანათ, მაგრამ მის დაქცევით სიკვდილის კი მოველით, ჩვენ ყოველთვის ვამტკიცებდით, რომ ორში ერთია შესაძლებელი. ან გენერალთა ბრბოს დიქტატურა, ან მუშათა კლასის დიქტატურა, „მენშევიკურ" დემოკრატიას არც კი შეუძლია დაიცვას პროლეტარიატი კონტრ-რევოლუციისაგან, და სამეურნეო

ცხოვრების ორგანიზაციაზე ხომ ზედმეტია ლაპარაკი. გერმანიის ამბები ნათლად გვაჩვენებს, რომ ბურჟუაზიულ დემოკრატიულ საფუძველზე არ შეიძლება დაცული იქნას მტკიცე ძალაუფლება, რომელიც სიმკაცრით განაიარაღებს ბურჟუაზიას, შეუძლია უზრუნველყოს წრფელი წესრიგი. პანგერმანისტების მიერ ძალა უფლების ხელში ჩაგდება ხსნის მკაცრ სამოქალაქო ომის გზას. კლასთა ბრძოლის ლოღიკა თავის საქმეს აკეთებს და პირდაპირ შეტაკებიან ბრძოლაში ერთი მეორეს საფუძვლიანი მტრები: შრომა და კაპიტალი. რამდენათ გადამწყვეტი და დისციპლინიანი იქნება პროლეტარიატის კომუნისტური ავანგარდი, მით ადრე მიაღწევს გამარჯვებას, მით უფრო ჩქარა დაწესდება ფოლადივით მაგარი დიქტატურა პროლეტარიატისა.

ბუხარინის სიტყვა.

მოსკოვის გუბ. გლეხთა და მუშათა დეპუტატების ყრილობაზე ბუხარინი შეეხო რა გერმანიის კონტრ-რევოლუციას, სთქვა. შეიდემანის და ნოსკეს მთავრობა აწარმოებდა რა კერენსკისებურ პოლიტიკას, უნდა ესაზღვრებოდა თავის მკვლელზე გერმანული კორნილოვშჩინა, ლიუდენდორფის და ტირპიცის კონტრ-რევოლუცია. გერმანიის კონტრ-რევოლუცია ჩვენთვის საშიშარი არ არის. მთელი გერმანია დღეს თუ არა ხვალ, გადაიქცევა სამოქალაქო ომში. ნათელია, რომ მუშათა კლასის ზეგავლენით ტირპიცი ვერ იჯდომებს დიდ ხანს გერმანიის მუშათა ჯალათის როლში და სამოქალაქო ომი ადრე თუ გვიან მუშათა კლასს გამარჯვებამდე მიიყვანს. ჩვენ შეგვიძლია, სთქვა ბუხარინმა, დავეხმაროთ სამხედრო ძალით ჩვენ ამხანაგებს, ამიტომ ჩვენ პასუხი უნდა გავცეთ დასავლეთ ევროპის ამბებს ჩვენი სასტიკი მტრის წინააღმდეგ მჭიდროთ შეკავშირებულ ბრძოლაში.

გადატრიალების ხასიათი.

